პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 სექტემბერი პარასკევი 1971 წელი

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 202 (15112)

ღირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს!

□ მოსკოველ მშრომელთა ინიციატივა

□ ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება

□ ვადამდე შევასრულოთ ხუთწლედის პირველი წლის დავალება

მოსკოვის შრომითი რიტმი

საქართველოს XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მოსკოვის მშრომელები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ქალაქის მრეწველობის მუშაობის შედეგები განვლილი თვეების მანძილზე მოწმობენ სწრაფ ტემპს, რომელიც მოსკოველებმა აიღეს ახალი ხუთწლედის პირველ წელს. წარმატებით სრულდება 1971 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი.

ეყრდნობიან რა მიღწეულ წარმატებებს, დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების მოწინავე კოლექტივები ახალ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 54-ე წლისთავის აღსანიშნავად. მთავარი ყურადღება ეთმობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას საწარმოთა ხელსაყალი ტექნიკური აღჭურვის ტემპის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ახალი ნაწარმის გამოშვების ათვისებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველზე.

მოსკოვის კალინინის რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ 1971 წლის ვალდებულებას და ადრე ადრე ადრე

საქართველოს ახალგაზრდობა საიუბილეო ჰასტიზე

ბრიგადული ფურცელი № 2

□ სოფლის შეფები □ ახალგაზრდობის ინიციატივით — ქარხნის ფილიალი □ წოდება — „ოქროს მარჯვენის ოსტატი“ □ ახალგაზრდა სპეციალისტთა კონკურსები

ერთ ბანდა ვემსახურო პარტიას, სამშობლოს არა მარტო ჩემი მუშა ხელებით, არამედ მთელი გულით! — ეს სიტყვები ეკუთვნის ქალაქ ბათუმის საერთო მშენებლობის № 5 ტრესტის სახლსამშენებლო კომბინატის მუშას კომკავშირელ ნიაზ ვერძაძეს.

ნ. ვერძაძე მაღალმთიანი რაიონიდან ამ სამი წლის წინათ მოვიდა სამუშაოდ, შეიყვარა მშენებლის საპატიო პროფესია. მისი ნამუშევარი, სადაც უნდა იყოს, ყველგან მოწონებით სარგებლობს. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს კომკავშირულ ცხოვრებაში, ყველა ახალგაზრდულ ღონისძიებაში. გადაწყვეტილი აქვს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღოს უმაღლესი განათლება.

მრავალი ასეთი ახალგაზრდა შრომობს ჩვენს ქალაქში. სწორედ მათი საქმიანობაა, ახალგაზრდების ცხოვრებას სისხლსავსეს, მჩქეფარეს და საინტერესოს რომ ხდის.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში წარმატებებს აღწევენ იქ, სადაც მუშაობენ მიზანდასახულად. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ლენინის საიუბილეო წელს და შემდგომ პერიოდში ქალაქის ახალგაზრდობამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში და სახალხო მაჩვენებლებით შეეგება აქარის ასსრ შექმნის 50 წლისთავს.

წარმატებები მეტწილად იმან განაპირობა, რომ ფართოდ იყო გაშლილი წინასაყარელობო და წინასაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ არა მარტო მაღალ შრომითს მაჩვენებლებს, არამედ თვითეული ახალგაზრდის საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სახელოვან ტრადიციებზე აღზრდასაც, კონკრეტულად განსაზღვრავდნენ ყოველი ახალგაზრდის თუ კოლექტივის ადგილს შრომითს საქმიანობაში. დადგენენ რა საიუბილეო შრომითს ვახტზე ქალაქის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, ახალგაზრდები გამოვიდნენ პატრიოტული თაოსნობით შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, პროფესიული ოსტატობის შემდგომი ამაღლებისა და სრულყოფის დარგში.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდებმა. აქ 430 კომკავშირელმა და კომუნისტური შრომის სამმა ბრიგადამ ჯერ კიდევ 1969 წლის მაისში შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და მას შემდეგ ახალი ხუთწლედის ანგარიშში იწყო შრომა.

ქარხნის ახალგაზრდობა შეფობას უწევს რესპუბლიკის რამდენიმე სოფელს. მისი ინიციატივით აშენდა ქედის რაიონში ქარხნის ფილიალი, რომელშიც სამუშაოდ წავიდა ამ ქარხანაში აღზრდილი 80 კვალიფიციური მუშა. მათ უკვე გამოუშვეს სასოფლო-სამეურნო მანქანების ხუთადასხვა ნაწილები. აღსანიშნავია საქმეები ამ ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადისა, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი უ. თოდრაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა მთლიანად კომკავშირელებით არის დაკომპლექტებული. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 5 ხახის მანქანები. ბრიგადის წევრები ცდილობენ დაზოგილი მასალებით არასამუშაო დროს ააწყონ 3 მანქანა. უკვე დაამზადეს და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგზავნეს 3 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, 15 კი უახლოეს ხანში გაიგზავნება.

ენერგიულად შრომობს ფეხსაცმლის ფაბრიკის ახალგაზრდობა. კომკავშირის კომიტეტი (მდივანი გ. თურმანიძე) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის აღზრდის, იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების. მომიჯნავე სპეციალობებისა და ახალი ტექნიკის ათვისების საკითხს. ქარხნის 80 კომკავშირელი ჩაბმულია კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელში, წარმოებისაგან მოწყვეტლივ უმაღლეს განათლებას იღებს 27 ახალგაზრდა. საღამოსა და დაუსწრებელ სკოლაში სწავლობს 40, ტექნიკუმებში — 55. უნარიანად მუშაობს „კომკავშირული პროექტორის“ შტაბი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სკკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობაში ეკონომიკის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“.

ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციები კვლავ უნარიანად იყენებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის, კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შეძენილ გამოცდილებას და აგრძელებენ საიუბილეო ვახტს საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ისინი რაზმავენ ქალაქშვილებსა და ჭაბუკებს ახალი მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ბევრ საწარმოსა და კოლექტივში ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდა მუშის ხასიათის ჩამოყალიბებას. ცდილობენ თვითეული კომკავშირული ჯგუფის შრომა საინტერესო, მიმზიდველი იყოს იმ მხრივ, რომ ახალგაზრდა შეესისხლხორცოს წარმოებას, იყოს დისციპლინირებული მუშა და ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება პროფესიული დაოსტატებისათვის ზრუნვას.

კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა მოიწონა მანქანათსამშენებლო, ელექტრომექანიკური, გემთსამშენებლო და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. ამ ორგანიზაციებში გულმოდგინედ ზრუნავენ ახალგაზრდობის აღზრდისათვის მუშათა კლასის სახელოვან ტრადიციებზე, ეხმარებიან ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებაში, მომიჯნავე პროფესიების დაუფლებაში, უნერგავენ მინდობილი საქმისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობას. აღმზრდელობით მუშაობაში ფართოდ იყენებენ ისეთ ფორმებს, როგორიც არის პირველი ხელფასის და საწარმოში პირველი დღის ზეიმი, „ოქროს მარჯვენის ოსტატის“ წოდების მინიჭება, შრომის წიგნაკის თუ სახელობითი ინსტრუმენტის საზეიმო გადაცემა და სხვ.

უკანასკნელ პერიოდში კომკავშირის თაოსნობით დაინერგა მუშაობის ისეთი ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდობის შრომითი აქტივობის ზრდას, კვალიფიკაციისა და ტექნიკური მომზადების დონის ამაღლებას. კომკავშირის საქალაქო კომიტეტი აწყობს კონკურსებს ახალგაზრდა ხარატების, მღარავების, მძღოლების, მშენებლების, მკერავების და სხვა სპეციალობათა მიხედვით.

მნიშვნელოვნად გააქტიურდა მუშაობა მეცნიერ და შემოქმედ ახალგაზრდებთან. ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციებში და საქალაქო კომიტეტთან შექმნილია სპეციალისტთა საბჭოები და სხვა შემოქმედებითი გაერთიანებები.

ახლა, როცა ჩვენი ქალაქის კომკავშირელები დიდი აღმავლობით ემზადებიან საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის შესახვედრად, მთავარი ყურადღება ეთმობა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პროპაგანდას, მისი იდეების თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდის შეგნებამდე დაყვანას, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში ღირსეული წვლილის შეტანას. ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხის სახელოვან, რევოლუციურ, საბრძოლო და შრომის მდიდარ ტრადიციებზე აღზარდონ ქალაქის ახალგაზრდობა. ჭაბუკებისა და ქალიშვილების აღსაზრდელად იყენებენ შრომითი და საბრძოლო დიდების შუზეუმებს, შეფობას სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებზე, ომის ინვალიდებზე, ლაშქრობებს რევოლუციურ და საბრძოლო დიდების ადგილებში. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭო.

ჩვენს კომკავშირელებს დიდი წვლილი შეაქვთ ახალი ხუთწლედის დავალებათა გაწალდებაში, 108 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, ქალაქის საწარმოების ახალგაზრდა მუშები და სპეციალისტები ნოვატორული შრომის მაგალითებს გვიჩვენებენ. ქალაქის 2.000 ახალგაზრდა მუშა და სპეციალისტი წარმოების რაციონალიზატორია, 2.500-ზე მეტი კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდების ატარებს. სწორედ იუბილესათვის მზადების დღეებში დაიბადა ძვირფასი ინიციატივა — ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა კომუნალურ მშენებლობებს უწევს დახმარებას, თავისუფალ დროს ფიზიკურად მუშაობს მშენებლობებზე. აქ გამომუშავებულ თანხას კი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

ბათუმელი ახალგაზრდების ზღვა ენერგია და შესანიშნავი განწყობილება ახალ გამარჯვებათა გარანტია.

ნ. გოგიტიძე,
საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ახალგაზრდა მეგობარო!

□

იცი თუ არა, რომ...

□ **საქართველოს** ალკკ პირველი, ყრილობისათვის, რომელიც 1920 წლის 25 აგვისტოს ბაკოში გაიმართა, რესაუბლიკაში 3.000 კომკავშირელი იყო, ახლა კი ნახევარ მილიონამდეა, მათ შორის 52,8 პროცენტი ქალია.

□ **ამჟამად** კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების უფროსი მდივანი სკკპ წევრია, ყველა მათგანს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

□ **კომკავშირის** საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების 37,3 პროცენტი და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების 49,6 პროცენტი ქალია.

□ **რესპუბლიკის** საწარმოებში, მშენებლობებზე, კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტზე დაახლოებით დასაქმებულია 91.000 კომკავშირელი, სოფლის მეურნეობაში 94.000-ზე მეტი კომკავშირელია.

□ **სამეცნიერო-საკვლევ,** საპროექტო ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში მუშაობს 8.000-ზე მეტი კომკავშირელი.

□ **24.000 კომკავშირელს** უმაღლესი განათლება აქვს, 51.000-ს დაუმთავრებელი უმაღლესი, ხოლო 203.000 კომკავშირელს — საშუალო განათლება.

სახელოვანი ტრადიციები

მალე რთველიც იქნება...

დადგა წლის ნანატრი დრო — ოქროსფერი შემოდგომა. სწორედ ოქროსფერი დასდებია მიწას, ვენახს, ტყეს, ახლა ჩვენი რაიონის ზვრებში ქარვასავით ბრწყინავს ყურძნის მტევნები, მას დღედაღე ემატება ეზე და შაქარი. ცოტა ხანი, და რთველიც დაიწყება, ჩვენებური, „ვაჩური რთველი. იმ ადამიანებს შორის, რომელთაც ამ ძვირფასი კულტურის მოსავლის აღება ეკისრებათ, მოწინავეთა რიგებში არიან სოფლის ახალგაზრდებიც. ისინი დაუფალავად შრომობენ. პირნათლად რომ შეხვდნენ საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან სოფელ აკურის კომეურნეობა „მოწინავის“ კომკავშირელი ჯაფები და ქალიშვილები. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელშიც სოფლის 35 ახალგაზრდაა გაერთიანებული, 18 ჰექტარ ვენახს უვლის. ბრიგადამ გეგმით საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძენი უნდა მოკრიფოს, მაგრამ ვალდებულება 65 ცენტნერს ითვალისწინებს. ახლა, როცა რთველი კარზეა, ნათლად ჩანს, რომ მთელი წლის ბეჯითი შრომას უქმად არ ჩაუვლია. ბრიგადის წევრები სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემენ 270 ცენტნერ ყურძენს. ვენახის მოვლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდებმა: ლ. ჭურღულაშვილმა, ჯ. პარწიკანაძეებმა, თ. და ნ. ქევხიშვილებმა, თ. რაზმაძემ და სხვებმა.

აღაზნის ველის ბარაქით ისამაყებენ კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ ახალგაზრდებიც. ბევრმა მათგანმა ისახელა თავი ვენახისა და ხეხილის ბაღის საუკეთესო მოვლით. ახალგაზრდები ხარობენ მძიმე მჭიანებით დახუნძლული ვაზების ცქერით. საშუალოდ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით მოკრიფენ სულ ცოტა 15-20 ცენტნერ ყურძენს. ახალგაზრდა მეხილეები მურთაზ იგრიაშვილი, აკაკი ძამუკაშვილი, თეიმურაზ როჭიკაშვილი და სხვები უკვე იმკიან ბეჯითი შრომის ნაყოფს. ახლა აქ გაჩაღებულია ხილის კრეფა. უკვე მოკრიფეს და მიმღებ პუნქტებს ჩაბარეს 250 ცენტნერზე მეტი მაღალხარისხოვანი ხილი.

ყურძნის მაღალ მოსავლს ელიან სანიორელი, ჯუღაანელი, ვანთელი, წიბანდელელი, იყალთოელი ახალგაზრდები, რომლებიც დარსა თუ ავდარში ვენახებში ტრიალებენ და გულმოდგინედ უვლიან თვითეულ ვაზს.

ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა დიდი ინტერესით გაეცნო საქართველოს კპ ივნისის პლენუმის შედეგებს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ. პირტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, მეცხოველეობის საერთო აღმავლობისათვის ხელის შეწყობა — ჩვენი სოფლის კომკავშირელთა სადღესაო ამოცანაა.

სოფლის მშრომელებს არც ქალაქის ახალგაზრდები ჩამორჩებიან. რაიონის საწარმოებში 40-ზე მეტი ახალგაზრდა იუბილესათვის უპატაკებს წლიურ, ხოლო 110 კაცი — ათი თვის გეგმის შესრულებას.

წინდების ფაბრიკის ახალგაზრდა ქვეოსტატებმა გ. ბარამიანმა და ზ. საკოვმა, რომლებიც ჩაბმული არიან წინასაიუბილეო შეჯიბრებაში, 6 თვეში შესრულეს წლიური დავალება, ხოლო ი. ვარდიშვილმა, ო. რატიანმა, გ. გიგაურმა, დ. შიუკანაშვილმა და მ. ნანიკაშვილმა მიმდინარე წლის გეგმის შესრულება სამშობლოს უპატაკეს პირველი აგვისტოსათვის.

როგორც ცნობილია, რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია ახლახან დაჯილდოვდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის. ეს ჩვენს ახალგაზრდობას ერთხელ კიდევ ავალებს აიღოს ახალი სასახელო მიჯნები.

რ. ღარიბაშვილი,
საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის პირველი მდივანი.

მათ ისახელეს თავი

ქომკავშირელი მზისანა ყოლბაია გალის რაიონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობაში“ მუშაობს. მან შრომით თავი გამოიჩინა და მეურნეობაში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. მზისანამ წელს პირობა დადო მოკრიფოს 6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილი აქვს 5 ტონაზე მეტი. ახლა იმისათვის იბრძვის, რომ ვადამდე გაანაღდოს ნაკისრი ვალდებულება. ახალგაზრდა მეჩაიე თავის შრომითს წარმატებებს მიუძღვნის საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. სურათზე: **მზისანა ყოლბაია.**

ფოტო ლ. შენგელიასი.

ენგურჰესის ახალგაზრდა მშენებლები წარმატებით ეუფლებიან რთულ სამშენებლო პროფესიებს. ახლა თითქმის ყველა ობიექტზე შეხვდებით ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც სამოთხე ძირითად სამშენებლო პროფესიას ფლობენ. მათ შორის არის კომკავშირელი ჯუმბერ პაპასკირი, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ხუროდ, მეარმატურედ, მებეტონედ.

ვარდნილაძეების სამმართველოს ახალგაზრდა მშენებლები თავდადებით შრომობენ საქართველოს კომკავშირის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის. ჯ. პაპასკირი სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთ-ერთი მოწინავეა. სურათზე: **ჯ. პაპასკირი.**

ფოტო ე. ბოხორელიძისა. (საქდღის ფოტოქრონიკა).

ბახარაძის რაიონის ბახვის ჩაის ფაბრიკამ წელს ხულ 3.760 ტონა ჩაის ნედლეული უნდა გადაამუშაოს. საწარმოს პროდუქცია იგზავნება როგორც ჩვენი ქვეყნის ჩაისხაწონ ფაბრიკებში, ისე საზღვარგარეთ — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და ალჟირში. ფაბრიკის მშრომელები ძალღონეს არ იშურებენ ჩაის ხარისხის ამაღლებისათვის. სურათზე: **ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ტატესტერი ეთერ მაბრაძეშვილი პოლონეთში გაგზავნის წინ ამოწმებს ჩაის ხარისხს.**

ფოტო ე. ნანიკაშვილისა. (საქდღის ფოტოქრონიკა).

გაეფრენ, ოქროვანო, ოქროვანო!

მოგიზგიზე ცეცხლში გაჩნდი,
ნაცარს გეცურა თავზე ცეცხლის ბუდე,
ერთი დღისა წლისას ბაგადი,
ერთი წლისა დეკემბრივით ბუნდი.

მზის გაფურჩქნულს ხდარაჯობდი
და მარჯვენა ძილშიც გედო ხმალზე
კომკავშირო, გამარჯობა,
გმირ პაპათა ძალავ, ხილამაზეო!

ბნელ სრამებზე სხივი ჩართე,
შავ ჭაობებს გაუთენე დამე,
ბევრს ითმენდი, ბევრი დათმე,
მაგრამ რწმენა არასოდეს დათმე.

ძლიერ ყინვას, ხვატს აჯობე,
გულის შუქი ყველას უნაწილე.
კომკავშირო, გამარჯობა,
გმირ მამათა დიდო სიყმაწვილეო!

შერე ფხეკ გაჩნდა დარდი,
ცას ღრუბლები ჩამოაწვა მრუმე
ასმიანდი, აყაშყაშდი,
ყვავ-ყორანი ბევრი წაანუმე.

მიწს იჭერდი ხელით ცაში,
მშობელ მიწას ჩაეფესვე ძალქვად,
მატროსოვი გერქვა მაშინ,
ზოია და კოშევოი გერქვა...

კვლავ სამშობლომ კიბსმო მერე,
ნათმარმა, მკერდდაჭრილმა მძიმედ,
ხარაჩონი აამღერე,
ქალაქები ცამდე გადაჭიმე.

მზე ბაღებში ასეირნე,
ყამირებზე ოქრო დაგვანახვე,
კოსმოსის გზა გახსენ მერე,
ვარსკვლავებთან სამეგობროდ ახვალ.

ვერაფერი შეგაშინებს,
სადაც წახვალ, ყველგან იარწივებ!
გამარჯობა, კომკავშირო.
დღეგანდელო ჩვენო სიყმაწვილეო!

ბარაქალა თქვენს ქალობას!

ეს იყო ათიოდე წლის წინათ... კომკავშირელთა ინიციატივით წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი ჩამოყალიბდა. გავიდა ხანი და 1968 წელს მეჩაიეობაში მოპოვებული დიდი წარმატებისათვის მას კომუნისტური შრომის რგოლის სახელოვანი წოდება მიენიჭა. რგოლს შეუცვლელად ხელმძღვანელობს სახელგათქმული მეჩაიე, ლენინის ორდენოსანი გულნარა სახოკია.

საინტერესოა თვალი გადავავლოთ ამ რგოლის შედეგებს წინა, მერვე ხუთწლედში. 9 ქალიშვილმა, რომლებიც ამ რგოლის წევრები არიან, 3,5 ჰექტარი ფართობიდან გეგმით გათვალისწინებული 136 ტონის ნაცვლად 233 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და საშუალო წლიური მოსავლიანობა ჰექტარზე 13.300 კილოგრამამდე აიყვანა. რგოლში ღირსეულად დაიმსახურა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გმირდამავალი დროშა.

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის ვადაწყვეტილებებს რომ გაეცნენ, რგოლის წევრებმა გადაწყვიტეს მეცხრე ხუთწლედისათვის იმავე პლანტაციიდან სამშობლოს მისცენ 250 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ტონისა და საშუალო წლიური მოსავლიანობა ჰექტარზე 14.300 კილოგრამამდე აიყვანონ.

მეჩაიე ქალიშვილებმა წელსაც შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს, ვადაზე ორი თვით ადრე გაანაღდეს წლიური გეგმა. ჯერ კიდევ 25 აგვისტოსათვის მოკრეფილი ჰქონდათ 42 ტონა ფოთოლი. ეს 12 ტონით მეტია, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ქალიშვილები ახლაც დიდი მონდომებით იბრძვიან, რომ საქართველოს ალკკ 50 წლისთავის ზეიმს გეგმის გადაჭარბებით 20 ტონა მწვანე ოქროს მოკრეფა უპატაკონ. ამის თავდები კი ის არის, რომ რგოლის ყველა წევრი თვალსაჩინოვით უვლის მამაკაცებულ პლანტაციას, და რაც მთავარია, ამნაირს ყოველგვარ პირობებში კრეფს შემოსულ ფოფოლს.

დაუღალავი, ენერგიული შრომით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თვით მეჩაიოლურმა გულნარა სახოკიამ, სულეიო და ნაირა სარიებმა, ეზოლდა და ცოტიოლი სახოკიებმა, რომლებიც სეზონის ბოლოსათვის ექვსი-შვიდი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეულისათვის იბრძვიან.

ალბეგი, პატრიოტული შრომა ბომ ჩვენში დაუფასებელი არ რჩებაა! ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი გ. სახოკია საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის წევრად და კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრად არის არჩეული, მის მკერდზე კიაფობს ლენინის ორდენი და მედლები.

ბარაქალა თქვენს შრომას, სახელოვანო ქალოვშვილებო!

ფ. კვარაცხელია,
ქალაქ წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა საქართველოსა და აფხაზეთის კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო-საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა საიუბილეო ზეიმის ჩატარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს: კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შეხვედრებს პირველი ხუთწლედების გმირებთან, პარტიისა და კომკავშირის, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან; ლექციებისა და მოხსენებების კითხვას; მასობრივ ლაშქრობებს მარუხის, სანჩარისა და ქლიხორის ფოლტებილებზე; სოხუმის ომაღლებ სასწავლებლებში სამეცნიერო-თეორიული კონფერენციების მოწყობას.

ნარკვევები „პირველი თაობა“

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ირისთონმა“ რუსულ ენაზე გამოსცა ვ. გასიევის ნარკვევების კრებული „პირველი თაობა“. წიგნში აღწერილია კომკავშირული ორგანიზაციის ჩამოყალიბება სამხრეთ ოსეთში, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ბრძოლა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში, მათი გმირული შრომა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. ნარკვევებში საინტერესოდ არის გაშუქებული ოსი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის გმირული ბრძოლა გერმანელ ფაშიტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

პირველი კომკავშირულ-ახალგაზრდული ორგანიზაცია სამხრეთ ოსეთში „სპარტაკის“ სახელწოდებას ატარებდა. წიგნის ავტორი ვ. გასიევი თვითონ სპარტაკელი იყო, ნარკვევებში დასახელებულ ადამიანებს პირადად იცნობდა იგი, ბევრი რამ საკუთარი თვალით არის ნახული და განცდილი.

ი. თედიაშვილი.

მარგანეცის ქალაქი ემზადება...

ქართული მარგანეცის ქალაქის მაღაროებში გაჩაღებულია წინა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება. 826 ახალგაზრდა კომუნისტური შრომის დამკვრელია. მაღაროელები ა. ჩაფიჩაძე, ჯ. ბახტურიძე, გ. დევიძე, შ. ბოგურიშვილი, მშენებლები ჯ. მაჩიტიძე, რ. ხასია და სხვები ყოველ ოთხ დღეში ხუთი დღის დავალებებს ასრულებენ. ისინი საიუბილეოდ სამშობლოს წლიური გეგმის შესრულებას უპატაკებენ.

ჭიათურაში ახლა 41 კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლა და ბრიგადა მუშაობს, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელის მოსახვეჭლად. კომკავშირის საქალაქო კომიტეტს გამარჯვებულებისათვის დაწესებული აქვს გარდამავალი ვიმპელები. შეჯიბრების სათავეში არიან ლენინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროების მაღნის გამმდიდრებელი ფაბრიკების კომკავშირულ- ახალგაზრდული ცვლები, რომლებსაც ახალგაზრდა ინჟინრები ვენერა გაფრინდაშვილი და ნოდარ ბრეგვაძე ხელმძღვანელობენ.

მარგანეცის ქალაქში დამკვიდრდა დევიზი — „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ძიება და ოსტატობა“. ამის კვალობაზე იზრდება ახალგაზრდობის ლტოლვა-მისწრაფება სიახლეთა დანერგვისა და პროფესიათა დაუფლებისაკენ. წარმოების ტექნიკურ პროგრესში თავისი წვლილი შეიტანა 66 ახალგაზრდა რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა. მათ წელს დანერგეს 44 რაციონალიზატორული წინადადება და საშობლოს 104.400 მანეთი დაუზოგეს. საყურადღებოა დიმიტროვის სახელობის მაღაროს ახალგაზრდა რაციონალიზატორების ვ. მახათაძის, თ. მიქაბაძის და დ. ნეფარიძის ერთობლივი წინადადება. გამამდიდრებელ ფაბრიკაში მათ შეკვალეს ხალეკი მანქანების კონსტრუქცია და ამით წლიურად 39 436 მანეთის ეკონომიას ეწევიან. რაციონალიზატორები ჩაებნენ საიუბილეო კონკურსში საუკეთესო წინადადებისა და გამოგონებებისათვის.

ახალგაზრდები ისწრაფვიან რამდენიმე პროფესიის დაუფლებისა და ტექნიკური ეიდნის ჰორიზონტის გაფართოებისათვის. საწარმოებში თითქმის აღარ მოიძებნება ისეთი ახალგაზრდა, რომელიც ორ-სამ პროფესიას არ ფლობდეს. ამჟამად 229 ოსტატდება ტექნიკურ წრეებში, ხოლო 115 გაერთიანებულია ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოებში.

მაღაროელები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას. მათ შაბათობები მოაწყეს საშეფო კოლმეურნეობებში საკვების შესაგროვებლად და სახოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ლენინის, დიმიტროვის, კალინინის, სტალინის, ორჯონიკიძის სახელობის, ახალი ითვისის მაღაროების ახალგაზრდებმა. მათ ციდ-ძალი საკვები შეუგროვეს ზოდის, ხვაშითის, წირქვალის, ხალიფაურის კოლმეურნეობებს, მარგანტრესტის საბჭოთა მეურნეობას.

ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა საიუბილეო კითხვა, ლექცია-მოხსენებები. თემატური საღამოები, თეორიული კონფერენციები; შეხვედრები შრომის, ბრძოლის, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანებთან.

კომკავშირის სახელოვან იუბილეს ეძღვნება ტურისტული ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსიები რესპუბლიკის საბრძოლო დიდების ადგილებში.

ბ. ბიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საყოველთაო მშვიდობისათვის

მუშაობა დაამთავრა პაგუოშის კონფერენციამ

ჟენევრა. 2 სექტემბერი. (საკდესი). სინაში დამთავრდა მეცნიერთა XXI პაგუოშის კონფერენცია საერთაშორისო უშიშროების საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, 100-ზე მეტი მეცნიერი.

კონფერენციის მონაწილეებმა სამუშაო ჯგუფებში განიხილეს ევროპის უშიშროების პრობლემები, საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების, განიარაღებისა და საერთაშორისო ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხები.

პაგუოშის მუდმივი კომიტეტის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამერიკამ მთლიანად და დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს ჯარები ინდოჩინეთიდან. მეცნიერები განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამენ ამ სამხედრო დანაშაულთა გამო, რომლებსაც ამჟამად ფართო მასშტაბით სჩადიან ნიურნბერგის პროცესიდან 25 წლის შემდეგ.

კომიტეტი მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს ებრძოლონ იმისათვის, რომ ისრაელმა შეასრულოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

მეცნიერები დიდად აფასებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინადადებას იმის შესახებ, რომ გაიხსნას სუეცის არხი, როცა ისრაელი გაიყვანს ჯარებს ამ რაიონიდან, და აღნიშნავენ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პალესტინელ ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრას.

კონფერენციაზე მაღალი შეფასება მისცეს პოზიტიურ ძვრებს ევროპაში ვითარებაში, კერძოდ, აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა დადება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა მოლაპარაკება, ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების შემუშავება დასავლეთ ბერლინის თაობაზე ხელშემწყობ პირობებს ქმნის, რომ გაიმართოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე. მეცნიერებმა მოუწოდეს დაუყოვნებლივ მოიწვიონ თათბირი ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე.

კონფერენციის მუდმივმა კომიტეტმა მიიღო გადწყვეტილება მიმართვა, რომელიც მოითხოვს აღმოსავლეთ პაკისტანში უსწრაფეს პოლიტიკურ მოწესრიგებასა და ამ ქვეყნის ლტოლვილებისათვის საერთაშორისო დახმარების გაფართოებას.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲤᲐᲠᲡᲡ

ᲑᲝᲜᲜᲘ

Ვ. ᲑᲠᲐᲜᲓᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

2 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა უოველკვირეულ „ფოროვერტსისა-თვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „დიდი მნიშვნელობა აქვს“ თანხმობას, რომელიც მიღწეულია ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე დასავლეთ ბერლინის შესახებ.

მისი აზრით, იგი „დადებით გავლენას მოახდენს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ურთიერთობაზე“. როგორც ბრანდტმა აღნიშნა, შეთანხმების მისაღწევად ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებაზე ოთხი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის „ვაუმჯობესებულ ურთიერთობას“.

ᲞᲝᲜᲢᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. კატარის ხამთავრომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და გაუქმა ყველა შეთანხმება, რომელიც ინგლისთან აკავშირებდნენ ხპარსეთის ყურის რაიონში მდებარე ამ არაბულ სახელმწიფოს.

როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, მთავრობის განცხადებაში, რომელ ი ც გუშინ გადასცა კატარის დედაქალაქის დოხის რადიომ და ტელევიზიამ, ხაზგასმულია, რომ მთავრობა „ისარგებლებს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განხორციელებას“.

განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ კატარი ყველაფერს იღონებს არაბული ქვეყნების ლიგასა და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში შესასვლელად.

ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲤᲐᲠᲡᲡ

ᲙᲐᲜᲝ

2 სექტემბერი. (საკდესი). სანამ საიგონის მარიონეტული ადმინისტრაცია ნგუენ ვან თიეუს მეთაურობით აჯამებს 29 აგვისტოს გამართული „ეროვნული კრების“ ქვედა პალატის „არჩევნების“ შედეგებს, სამხრეთ ვიეტნამში მუღავნდება უხეში თვითნებობისა და ყალთაბანდობის ახალ-ახალი ფაქტები, რასაც სჩადიოდნენ ამ საარჩევნო ფარსის მომზადებისა და მოწყობის პერიოდში.

როგორც განთავისუფლების პრესის საგენტო იუწყება, თხიეუს ადმინისტრაცია არ ერიდებოდა ფალსიფიკაციის უხეშ ხერხებსაც კი, რისთვისაც ფართოდ იყენებდა მარიონეტული არმიის ჯარისკაცებს.

ჯარისკაცები თხიეუს აგენტების თანხლებით მწყობრი ნაბიჯით მიდიოდნენ საარჩევნო უბნებში, სადაც მათ გადასცემდნენ ბიულეტენებს, რომლებშიც აღნიშნული იყო მხოლოდ მარიონეტი პრეზიდენტის მომხრეთა გვარები. საიგონის რეკომენდასიათვის ანასასუფთაველი კანდიდატები ბიულეტენში საერთოდ არ შეჰქონდათ.

ბალეიეს პროვინციაში „ეროვნული კრების“ დეპუტატობის კანდიდატმა ზიონგ ვან ბამ ამხილა ადგილობრივი გუბერნატორის მაქინაციები, რომლის ბრძანებით აგენტებმა გაავიცელეს 20 ათასი ყალბი საარჩევნო ბარათი და მოსახლეობას აიძულებდნენ ხმა მიეცათ თხიეუს მომხრეებისათვის.

ანალოგიური ყალბი ბარათები ფართოდ ეჩიცელდებოდა ჩაეინის პროვინციაშიც. დეპუტატობის კანდიდატი ნგო კონ დიკი, რომელმაც საჯაროდ ამხილა ეს სიყალბე, მხეცურად სცემეს.

სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ დანანგში ხელისუფალნი იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ კენჭისყრა დადგენილ ვადაზე ორი დღით ადრე იმიტომ, რომ საზოგადოებრიობამ შეიტყო „არჩევნების“ გაყალბების ფაქტები.

რეფერენდუმის შედეგები

კაბირო. 2 სექტემბერი. (საკდესი). რეფერენდუმის დროს, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და ლიბიის შემადგენლობით არაბული რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის საკითხზე, ფედერაციას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 99,956 პროცენტმა.

ტრიპოლი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ლიბიაში ფედერაციის შექმნას მხარი დაუჭირა რეფერენდუმის მონაწილე პირთა 98 პროცენტმა.

დამასკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). არაბული რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის საკითხზე რეფერენდუმის მონაწილე სირიელ მოქალაქეთა 96,4 პროცენტმა ხმა მისცა ასეთი ფედერაციის შექმნას.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ ᲣᲐᲠᲘ

პეკინი. 2 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ 2 სექტემბერს მილიტარისტული იაპონიის განადგურების წლისთავი, სსრ კავშირის საელჩომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 29 აგვისტოს ჩინეთის ხელისუფალთ სთხოვა ნება დაერთოთ სწვეოდნენ ქალაქების ხარბინს, შენიანს, ლიუშუნს (პორტ-არტურს), დალნისა და უახლს, რათა გვირგვინებით შეემკოთ ჩინეთის ტერიტორიაზე დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლები.

მაგრამ სსრ კავშირის საელჩოსა და საელჩოსთან არსებული სამხედრო ატაშეს მუშაკებს ნება დართეს ეწვიონ მხოლოდ ერთ ქალაქს—უახნს და ნება არ მისცეს სწვეოდნენ სხვა ქალაქებს, სადაც მიმდინარეობდა იაპონელ დამპყრობთაგან ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის განთავისუფლებისათვის მთავარი ბრძოლები და სადაც ჩინელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის, მსოფლიოში მშვიდობის აღდგენისათვის ბრძოლაში სიცოცხლე გასწირა ბევრმა საბჭოთა მეომარმა.

ᲑᲝᲜᲜᲘ

ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

2 სექტემბერი. (საკდესი). ჩილეს და კოლუმბიის პრეზიდენტებმა ბოგოტის პრეზიდენტს სახასლეში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც საჯაროდ გამოთქვამენ რწმენას, რომ „მხოლოდ ხალხთა თვითგამორკვევისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის პატივისცემა ქმნის საფუძველს სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის“.

ჩილეს სახელმწიფოს მეთაურის კოლუმბიაში ოთხი დღის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგად მიღებულ დეკლარაციაში დადასტურებულია, რომ ორივე სახელმწიფო იცავს მშვიდობიანი თანაარსებობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პატივისცემის პრინციპებს.

ორივე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით უნდა გამოიყენონ ატომური ენერგია, შემცირდეს ლათინური ამერიკის ქვეყნების სამხედრო ხარჯები.

ერთობლივი დეკლარაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის პრობლემებს.

დარ ეს-სალამი

რასისტული კანონპროექტი

2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სოლსბერიდან იუწყებიან, სამხრეთ როდეზიის თეთრკანიანი უმცირესობის მთავრობამ ქვეყნის პარლამენტის განსახილველად შეიტანა რასისტული კანონპროექტი, რომელიც უფლებას აძლევს პრეზიდენტს კანონგარეშე გამოაცხადოს ყოველი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობამ, ხელისუფალთა აზრით, შეიძლება „საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო უშიშროებას ან საზოგადოებრივ წესრიგს“.

კანონპროექტი, კერძოდ, ითვალისწინებს აიკრძალოს ქვეყანაში ის ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებული არიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან, მშვიდობის მსოფლიო საბჭოსთან, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციასთან, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელთა ეროვნულ კონგრესთან.

აკრძალული ორგანიზაციების წევრობისათვის მოსალოდნელია პატიმრობა ხუთი წლის ვადით. ასეთივე სასჯელი ელით პირს, რომლებიც უარს იტყვიან პოლიციასთან თანამშრომლობაზე.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐᲗᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ

● ᲕᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ [illegible] ᲐᲠᲛᲘᲐ [illegible] ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. [illegible] ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ [illegible] (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ [illegible] ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ) [illegible] ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ [illegible] ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ [illegible] ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲠᲘᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ [illegible] ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ [illegible] ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ [illegible] ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ [illegible] ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ [illegible] ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ [illegible]

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

Ш. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲐᲙᲕᲐᲜᲗᲐᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ Გ. Ვ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲐᲙᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲠᲘᲗᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲔᲚᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓ ᲗᲕᲔᲛᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ 15 ᲐᲗᲐᲡᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲥᲡᲠᲝᲜᲐᲢᲘᲜᲗᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲚᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ 500-ᲛᲓᲔ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ. ᲐᲥᲕᲡ 42 ᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲞᲝᲔᲛᲐ „ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ“. ᲐᲡᲚᲐᲜᲐᲜ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲰᲘᲚᲣᲡᲘᲜᲙᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲣᲚ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲓᲐᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲘ

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ და ᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲡ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲬᲧᲐᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘ. ᲙᲘᲗᲮᲔᲚᲛᲝᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲓᲐ ᲭᲣᲗᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲚᲘ ᲒᲖᲐᲙᲪᲔᲪᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ 500-ᲛᲓᲔ ᲫᲘᲠᲘ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲣᲒᲣᲡᲢᲠᲣᲛᲘ. ᲬᲧᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲧᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲛᲔᲜᲚᲘ ᲒᲖᲐᲙᲪᲔᲪᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐᲜᲐᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ 15 ᲐᲗᲐᲡᲛᲐ ᲙᲐᲪᲐᲛ ᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ. ᲐᲮᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲥᲡᲠᲝᲜᲐᲢᲘᲜᲗᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲚᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ 500-ᲛᲓᲔ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ. ᲐᲥᲕᲡ 42 ᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲔᲜᲘᲗᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲐ „ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ“. ᲐᲡᲚᲐᲡᲐᲜ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲰᲘᲚᲣᲡᲘᲜᲙᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲣᲚ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲐᲕᲘᲫᲜᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲫᲜᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲠᲣᲡᲣᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲠᲑᲘᲚ ᲡᲐᲯᲠᲔᲚᲔᲑᲡ. ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲢᲐᲡᲢᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲘᲓᲔᲑᲡ, ᲙᲐᲠᲐᲒᲔᲑᲡ, ᲞᲚᲐᲢᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲐᲕᲐᲯᲜᲘ.

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ. ᲣᲙᲕᲔ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲠᲔᲠᲑᲘᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ